პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N

ქ. ოზურგეთი
2024წ-------- აგვისტო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ““ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებას თანდართული წესის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა თანახმად დანართისა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე